



საქართველო მოკლე მიმოხილვა


იმუნიზაცია

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა 1996 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურად დაცვა ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისაგან, მაღალი მოცვის და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფით (გლობალური და რეგიონული მიზნების გათვალისწინებით). პროგრამის ფარგლებში იფარება:

- გეგმიური იმუნიზაციისთვის ვაქცინების შესყიდვა
- ინფექციური დაავადებების (ყვირთელი ცხელება, ცოფი, ტეტანუსი, ბოტულიზმი, გველის შხამი და მალარია) პრევენციისა და მკურნალობისათვის საჭირო ვაქცინების, შრატებისა და იმუნოგლობულინების შესყიდვა
- ასაცრელი მასალების მიღება, შენახვა და განაწილება და ცივი ჯაჭვის სისტემის საჭიროებების მონიტორინგი.

იმუნიზაცია საქართველოს მთავრობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მხრივ ერთერთი მაღალი პრიორიტეტული საკითხია, რომლის დასტურია პროგრამის დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა ბოლო წლებში 4 მილიონი ლარიდან (2012წ.) 16 მილიონამდე (2017წ.).

სურათი 1: იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი (2012-2017წწ, ლარში)



უსაფრთხო იმუნიზაციის პრაქტიკას, ზოგად რეკომენდაციებსა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #01-57/ნ 19 ნოემბერი 2015წ.

იმუნიზაციის ეროვნული კალენდარი დღეისათვის მოიცავს აცრებს 12 ინფექციური დაავადების წინააღმდეგ: ტუბერკულოზი, ჰეპატიტი ბ, დიფთერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, წითელა,

წითურა, ყბაყურა, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები.

სურათი 2: იმუნიზაციის ეროვნული კალენდარი, 2017წ


ვაქცინა	დოზა	ასაკი
ბცუ	1	0-5 დღე
ჰეპ ბ	1	0-12 სთ დაბადებიდან
ჰიბ+დფტ+ჰეპ ბ+იპვ	3	2, 3, 4 თვე
პოლიო (ბოპვ)	2	18 თვე, 5 წელი
დფტ, დტ, ტდ	3	18 თ, 5 წ, 14 წ
წწყ	2	12 თ, 5 წ
როტა	2	2, 3 თვე
პკვ	3	2, 3, 12 თვე

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, მოსახლეობის შერჩეული რისკ ჯგუფებისთვის ტარდება სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

საკვანძო საკითხები

გეგმიური კალენდრით გათვალისწინებული ყველა ვაქცინა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის პრეკვალიფიცირებული და მათი შესყიდვა (გარდა ჰექსავალენტურისა) ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის შესყიდვების მექანიზმის გავლით, რაც უზრუნველყოფს მომარაგების უწყვეტობას, მაღალ ხარისხს და დაბალანსებულ ფასებს.

სურათი 3: მოცვის ტენდენციები 2013-2016, საქართველო



იმუნიზაციაზე ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების უზრუნველსაყოფად ტარდება დამხმარე ზედამხედველობის აქტივობები ყველა დონეზე და ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს აღრიცხვა-ანგარიშგების და მონიტორინგის სისტემები (აცრები, იშგამ, მდდ).

ქვეყანაში შექმნილია იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მხარდამჭერი მრჩეველთა საბჭოები:

- სააგენტოთა შორის საკოორდინაციო კომიტეტი (ICC)

- მრჩეველთა ტექნიკური ჯგუფი (NITAG)
- (NRA)
- პოლიოს სერტიფიცირების კომიტეტი
- წითელასა და წითურას ელიმინაციის ვერიფიცირების ეროვნული კომიტეტი

2002 წლიდან საქართველო სერთიფიცირებულია როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისაგან თავისუფალი ქვეყანა და ჯანმოში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს: პოლიო ერადიკაციის აქტივობების ყოველწლიური ანგარიში, საქართველოში პოლიოსაგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმა, და მდდ ყოველკვირეული ანგარიშის ფორმა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია დასაბამიდან (1996წ) მხარში უდგას იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამას და კვლავაც აგრძელებს ფასდაუდებელ ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

უახლესი მიღწევები

2013 წლიდან იმუნიზაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გარანტირებულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით და მოცვის მაღალი მაჩვენებლები შენარჩუნებულია ეროვნულ დონეზე.

შემუშავებულია იმუნიზაციის კომპლექსური მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა (cMYP) 2017-2021 წლებისთვის, ევროპის ვაქცინის სამოქმედო გეგმის მიზნების გათვალისწინებით.

ცივი ჯაჭვი და ვაქცინების მართვა

ვაქცინების და უსაფრთხო ასაცრელი მასალების ლოგისტიკას ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს დკსჯეც, ხოლო ადგილობრივად მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები (სჯც). ჯანმოს მიერ ჩატარებული ვაქცინების მართვის ეფექტურობის შეფასების (2014) და ცივი ჯაჭვის ინვენტარიზაციის (2013) რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ გამოყო ბიუჯეტი ცივი ჯაჭვის სისტემის ქვეყანაში არსებული საჭიროების 1/3-ის განახლებისთვის (მანქანამაცივრები, მაცივრები, ტემპერატურის მონტორები და ცივი ყუთები).

ამჟამად ვაქცინების შესანახი მოცულობები საკმარისია ყველა ახალი ვაქცინის დაგეგმილი დანერგვისთვის. სისტემა აღჭურვილია უზრუნველყოფილია გენერატორით. ტემპერატურის მონიტორინგის სისტემა ადექვატურია და აქვს განგაშის ფუნქცია; ყველა სჯც-ს გადაეცა ტემპერატურის მონიტორინგის ახლად შესყიდული ხელსაწყოები (Q-Tag). ჯანმოს ტექნიკური მხარდაჭერით გაუმჯობესდა ცივი ჯაჭვის ტემპერატურის მონიტორინგის სისტემა: თბილისში, ვაქცინების ცენტრალურ საწყობში და ოთხ რეგიონულ საწყობში (ქ. თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი) დამონტაჟდა ტემპერატურის მონიტორინგის კომპიუტერიზებული ვებ სისტემა.



ამასთანავე, ჯანმოს ტექნიკური მხარდაჭერით დაწყებულია ინტეგრირებული ეროვნული რეგულაციების შემუშავება ვაქცინებისა და მედიკამენტებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ ცივი ჯაჭვი, რაც ასევე მოიცავს ვაქცინების მართვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება/ადაპტირებას.

იმუნიზაციის მართვის მოდული (IMM)

საქართველოს შჯსდს-მ შეიმუშავა და წარამატებულად დანერგა ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა (HMIS) რომელიც ინტეგრირებულია საჯარო და დაბადების რეესტრებთან, დაფუძნებული მოქალაქის პირად ნომერზე და მოიცავს 30-მდე მოდულს. ერთერთი მოდულთაგანია იმუნიზაციის მართვის მოდული (IMM) რომლის დანერგვის პროცესის კოორდინაციას დკსჯეც ახორციელებს.

ახალი ვაქცინების დანერგვა - აპვ ვაქცინა

ჯანმოს ევროპის რეგიონის მხარდაჭერით, თბილისში 2016 წლის 1 ივლისს, აპვ ვაქცინის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა ეროვნული კონფერენცია კლინიცისტებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ჯანმო ასევე დაეხმარა საქართველოს აპვ ვაქცინის დანერგვის დემო პროექტისთვის განაცხადის მომზადებაში, აპვ ვაქცინის განაწილების გზების, წინასწარი ხარჯებისა და საკომუნიკაციო და სოციალური მობილიზების სტრატეგიის შემუშავებით.

ახალი ვაქცინების დანერგვის თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში აღსანიშნავია: როტავაქცინა (2013 წელს), პკვ 10 (2014 წლის ბოლოს, გავის მხარდაჭერით), იპვ (გადასვლა პენტადანა ჰექსავალენტურ ვაქცინაზე, 2015წ) და გადასვლა ორვალენტთან ოპვ-ზე (2016წ.).

მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

საქართველომ ჯანმოს მხარდაჭერით ისარგებლა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისისითაც (როტავირუსული და ინვაზიური ბაქტერიული დაავადებებზე ეპიდზედამხედველობა, პკვ ვაქცინის დანერგვის შემდგომი ხარჯთეფექტურობის ანალიზი, პნევმოკოკური მენინგიტით ჰოსპიტალიზაციაზე ზედამხედველობა, სეროტიპების ჩანაცვლების მონიტორინგი და ა.შ.)

წამლის ეროვნული სააგენტოს ფუნქციების გაძლიერება (იშგამ ზედამხედველობის სისტემა)

ჯანმოს მხარდაჭერა წამლის ეროვნული სააგენტოსთვის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი) და მათი შესაძლებლობების გაძლიერებაში, ტრეინინგებსა და შეხვედრებში მონაწილეობის უზრუნველყოფით.

პროგრამების შესრულება და მონაცემთა ხარისხი

იმუნიზაციით მოცვის კვლევა სამ დიდ ქალაქსა (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი) და დანარჩენ საქართველოში ჩატარდა ამერიკის დკვ და ჯანმოს მხარდაჭერით. საბოლოო ანგარიში მომზადდა როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებზე.

დკსჯეც იმუშავა წითელა, წითურა და თანდაყოლილი წითურას სინდრომის სიტუაციურ ანალიზზე და შეიმუშავა მათი ელიმინაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ამერიკის დკვ მხარდაჭერით).

იმუნიზაციის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით. დკსჯეც ასევე ჩაატარა ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის (KAP) კვლევები ძირითად სამიზნე პოპულაციებში.

საქართველოში ვაქცინების შესწყიდვების სისტემის შეფასება გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

გამოწვევები

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მდგრადობა ძალიან მნიშვნელოვანია GAVI-ის მხარდაჭერის დასრულების გათვალისწინებით:

- მიმდინარე პროგრამული მხარდაჭერა გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში და შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა.
- პარტნიორების მხარდაჭერის უზრუნველყოფა ვაქცინების მწარმოებლებთან მოლაპარაკებებში, გავის მხარდაჭერის დასრულებს შემდგომ ვაქცინებზე ხელმისაწვდომი ფასის შესანარჩუნებლად.
- მონიტორინგის და შეფასების ეფექტური სისტემის შემუშავება
- შესრულებაზე მიბმული ანაზღაურების მექანიზმის დანერგვა
- ვაქცინების მართვის საუკეთესო პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია.



სააღმართაპროცედურის
დადგინებისა და
სოციალური
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საქართველო, თბილისი 0119. აკ. წერეთლის გამზ. #144
www.moh.gov.ge



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი 0177. 9, მ. ასათიანის ქ. #9
www.ncdc.ge